საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 51 51-06-4-201810031812
03/10/2018

დადგენილება N51
2018 წლის 3 ოქტომბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, 25-ე მუხლების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დანართის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, თანახმად N1 დანართისა.

მუხლი 2. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანახმად N2 დანართისა.

მუხლი 3. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 ივნისის N25 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 08/06/2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 040110030.35.113.016232);

ბ) „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის წესით

პრივატიზებისას საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 მაისის N14 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 16/05/2016, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 040110030.35.171.016119).

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო